



# სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო



KA000023070347120

თბილისი

№ 51/ს

21 / თებერვალი / 2020 წ.

## სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი საგრანტო კონკურსის მონაწილეთა საგრანტო პროექტების მიღების ვადის განსაზღვრის თაობაზე

„სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 აგვისტოს N411 დადგენილების 2<sup>1</sup> და 2<sup>2</sup> მუხლის, ამავე დადგენილებით დამტკიცებული სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს დებულების მე-2 მუხლის ზ) პუნქტის, მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის, სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს 2020 წლის 12 თებერვლის N26/ს ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული „სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს გრანტის გაცემის წესისა და საგრანტო კონკურსის დებულების“ მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ასევე, სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებლის - მაკა ზურაბიშვილის 2020 წლის 21 თებერვლის № 02/146 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

### გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს სსიპ-ახალგაზრდობის სააგენტოს ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი საგრანტო კონკურსი;
2. ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსის მონაწილეთა შესაბამისი საგრანტო პროექტების მიღების ვადა განისაზღვროს 2020 წლის 24 თებერვლიდან 2020 წლის 31 მარტის 18:00 საათის ჩათვლით;
3. დაევალოს სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული პირებისა და უფლებამოსილი სამსახურებისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა;
4. წინამდებარე ბრძანება, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6);
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ-ის „ახალგაზრდობის სააგენტო“  
სააგენტოს ხელმძღვანელის მოვალეობის  
შემსრულებელი

ხელმოწერილია/  
შტამგადასმულია  
ელექტრონულად



ვახტანგ ბაკაშვილი